

ოქმი N8-9-4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების ერთობლივი სხდომის

2019 წელი, 30 აპრილი

ქ. ოზურგეთი

15⁰⁰ -16⁰⁰საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები -გ.ჩავლეშვილი, პ.კილურაძე,

მ.ზოიძე, ვლ.ჩავლეშვილი, ბ.დოლიძე, ტ.აროშიძე, ლ.კილაძე,

ნ.ორაგველიძე, ვლ.დლონტი, ე.გორდელაძე, ლ.საჯაია, ლ.მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დადგენის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საზღვრებში კურორტ გომის მთის მოქცევის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

4. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

5. გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხს: გ.კილაძე

მომხსენებელმა კომისიათა წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-რომელიც ეხებოდა კურორტ შეკვეთილის ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოებს, კომისიების წევრებმა მას მხარი დაუჭირეს.

კომისიათა წევრებმა მოისმინეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას, ამასთან აღნიშნეს, რომ ტერმინოლოგია „შესრულების კოეფიციენტი“ უნდა შეიცვალოს.

კომისიათა წევრები გაეცნენ ცხემლისხიდის საჯარო სკოლასთან არსებული სამოქალაქო კლუბის წევრთა განცხადებას, რომლებშიც ისინი ითხოვდნენ ცნობილი ლოტბარისა და ხელოვნების მოღვაწის გ.სალუქვაძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მონიშვნას და შესაბამისი ბანერების მოწყობას, კომისიათა წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას პრობლემის მოსაგვარებლად წერილის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაგზავნის შესახებ.

კომისიათა წევრები გაეცნენ სოფლების დვაბზუ-ცხემლისხიდი-ბაღდადის მოსახლეობის კოლექტიური მომართვის თაობაზე პედაგოგ ლ. ბასილაშვილის წერილს, რომელშიც ლაპარაკია ახლადამუშავებული ასფალტო-ბეტონის ქარხნის მიერ გარემოს დაბინძურებასა და ამ სოფლების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე გავლენის შესახებ. მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განმარტა, რომ ქარხნის დოკუმენტაცია წესრიგში აქვს, ხარვეზები, რომელიც წყლის დაბინძურებას ეხებოდა გამოსწორებულია, გარემოზე ზემოქმედების ფაქტორს სპეციალური სამსახურები ადგენენ და ასევე განსაზღვრავენ ქარხნის არსებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირების ვადებს, რაც შეეხება კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, მისი აღმოფხვრის შესახებ საკრებულო მიმართავს შესაბამის ორგანოებს. კომისიათა წევრებმა მხარი დაუჭირეს წერილზე ასეთი შინაარსის დასკვნას.

იმსჯელეს დვაბზუს მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა ცენტრალური გზიდან სტადიონამდე მისასვლელი გზის (1000 მ.) მოასფალტებას და მიიღეს გადაწყვეტილება წერილი გადაუგზავნონ მუნიციპალიტეტის მერიას.

განიხილეს ქ.ოზურგეთის შემოქმედელის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომელიც ეხებოდა ყოფილი რაიკავშირის ამორტიზირებული შენობის დემონტაჟსა და გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე (9600 კვ.მ.) დასასვენებელი პარკის მოწყობას, მიიღეს გადაწყვეტილება წერილი გადაეგზავნოს მერიას, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ ვადებში შენობის დემონტაჟს და მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით გამოთავისუფლებული ფართობის ეფექტურად გამოყენების საკითხის გადაწყვეტას.

კომისიათა წევრებმა იმსჯელეს სამხარეო ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილ წერილზე, რომელიც ეხებოდა კურორტ ურეკში მომქმედი ორი

ჭაბურღილიდან მოპოვებული სასმელი წყლის ლიცენზირებას წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ -კომისიათა წევრებმა მხარი დაუჭირეს მათ ლიცენზირებას.

კომისიათა წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას კურორტ გომის მთის სოფელ შემოქმედის საზღვრებში მოქცევის შესახებ.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

- 1.დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნა(თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N1, 2, 3 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.
2. კომისიაში შემოსული კოლექტიური წერილები რეაგირების მიზნით, ამ ოქმთან ერთად ,გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე).
3. სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მომართვის თაობაზე კურორტ ურეკის ტერიტორიაზე წყლის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს გურიის სამხარეო ადმინისტრაციას.

ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია


გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

გიორგი ჩაგანავა



კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია